№ 9
პარასკევი, 13 იანვარი 1895

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1895

# ივერია

№ 9
პარასკევი, 13 იანვარი 1895

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

გოლოვინის პროსპექტი, სახლი მირიმანოვისა

## ბამოფენა

ჩვენის დროისათვის ორის უდიდესის საკვირველებისა

1) **ქონდრის კაცები**

უველაზედ უპატარესნი ცოლ-ქმარნი დედამიწის ზურგზედ

**მარკიზ პოლგე**, შობიდგან 38 წლისა, სიმაღლით 28 დიუიმი, სიმძიმით $9^1/_2$ კილ.

**მარკიზა ლუიზა**, შობიდგან 28 წლისა, სიმაღლით 29 დიუიმი, სიმძიმით $10^1/_2$ კილ.

2) ცოცხალნი ბუნებრივად შეხორცებულნი ინდოეთელნი



ტყუპნი-დანი

**რადიკა და დოოდიკა**

ჩვენის დროისათვის ყველაზედ უდიდესი საკვირველება ბუნებისა



გამოფენა დაიწყება კვირას, 1 იანვრიდგან და ღია იქნება ყოველ დღე, დილის 11 საათიდგან საღამოს 10 საათამდის.

ადგილების ფასი: სკამები 40 კაპ., ფეხზედ დგომით 20 კაპ. ყმაწვილები 10 წლისაზედ ნაკლებნი და ჯარის-კაცნი იხდიან მხოლოდ ნახევარ ფასს.

(20—6.—7)

---

ქართული თეატრი

კვირას 15 იანვარს 1895 წ.

„ქართული წარმოდგენების მმართველი ამხანაგობის" დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ქ-ნ მ. საფაროვისა და ბ. ავალიშვილის მონაწილეობით

პირველად ახალი პიესა

**მუშაკი და ნებიერი**

დრამა 4 მოქ. 5 სურ. თარგ. პ. ყიფიანისა

მონაწილეობას ღებულობენ: საფაროვისა, ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, მაქსიმიძისა, გამყრელიძისა, ტარიელოვისა და სხვ. ბ-ნნი სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, მარჯანოვი, ადამიძე, გუნია და სხვ.

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია.**

მოწაფეებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად: „რევიზორი", კომედ. გოგოლისა და „გავიყარნეთ" კომ. 3 მოქ.

რეჟისორი ალ. მესხიშვილი — ადმინისტრატორი ვალ. გუნია.

---

## ტფილისი, 13 იანვარი

უველაზე უდიდესი ამბავი ამ ბოლოს ხანებისა ის არის ქვეყნიერობისათვის, რომ პრეზიდენტი საფრანგეთის რესპუბლიკისა კაზიმირ პერიე სამსახურიდამ გადადგა. ამ მოულოდნელმა ამბავმა ელვასავით მოირბინა მთელი ქვეყანა და ბევრგან ჩააფიქრა სხვა-და-სხვა სახელმწიფოების ბედის გამგებელნი და, რა თქმა უნდა, უველგან ჰკითხულობენ რამ აიძულა ეს თავი საფრანგეთის ერისა, რომ ასე მოიქცაო. მიზეზი გადადგომისა თვითონ კაზიმირ პერიემ ახსნა. პრეზიდენტის სახელს საკმაო პატივის-ცემით არ ექცევიანო, უპატიურად ეკიდებიან ჟურნალ-გაზეთები და ცალკე პირნიო. მე რადგანაც საფრანგეთის ერის თავი ვარ, ეს უდიდესი ადგილი და თანამდებობა ნებას არ მაძლევს ჩემი ღირსება მევე დავიცვაო და ისინიკი, ვინც მე პრეზიდენტად, ჩემდა უნებურად, ამირჩიეს, არავითარს სარჩლს არ მიწევენო.

ესეთი საბუთი სამსახურიდამ გადადგომისა არავინ მოუწონა კაზიმირ პერიეს და ყოველგან, საფრანგეთს აიღებთ, თუ სხვა ქვეყნებს, გადადგომილს პრეზიდენტს ამისათვის ჰკიცხვენ: შეშინდა ვითარცა მხდალი და გაიქცაო. კარგად მოიქცა კაზიმირ პერიე, თუ ცუდად, ჩვენ ამის გარჩევას არ გამოვუდგებით. ჩვენა გვგონია, დაუდგრომლობას და ხან-მოკლეობას ერთობ საფრანგეთის საქმეთა მართველობისას სხვა, სულ სხვა მიზეზი უნდა ჰქონდეს და იმისთანა საბუთები, როგორც კაზიმირ პერიე ამბობს, ან იმისთანა, რომლის გამოც მთელი სამინისტრო მისი სამსახურს დაეთხოვა, ისარია, რომლის მშვილდი-კი დამალულია საფრანგეთის დღევანდელ შინაურ საქმეთა ავკარგიანობაში.

რომელიც გნებავთ სახელმწიფოს ცხოვრება აიღეთ, უველგან ერთს აუცილებელს ამბავს შეხვდებით. ხან სახელმწიფოს იმისთანა ხანა დაუდგება, რომ სარწმუნოების საგნები უპირატესს ადგილს იჭერენ ერის და სახელმწიფოს ცხოვრებაში და ეს საგნები შეიქმნება ხოლმე მიზეზად ერის განხეთქილებისა, დასებად დაყოფვისა და დასების ერთმანეთთან ბრძოლისა. მაშინ ჭკუა და გონება ერისა უპირატესად ამ საგნების წრეში ტრიალებს და მოქმედობს. ხან იმისთანა დრო და ჟამი მოდის, რომ სახელმწიფო და საქვეყნო საქმეთა გამგეობისათვის ერი მეტს მონაწილეობას ჰთხ ულობს, პოლიტიკურ უფლებათა განფართოება უსაჭიროესს საგნად კეთდება და მაშინ იგი თავისის ჭკუის, გონების ძალ-ღონეს უპირატესად ამაზე ჰხმარობს. ხან იმისთანა ხანა დადგება ხოლმე, რომ გარემოება ცხოვრებისა ჰქადადებს ეკონომიურ ცვლილებათათვის და მაშინ საგნები ეკონომიურნი მიიზიდვენ ხოლმე მთელს ძალ-ღონეს ერისას და ამ საგნების მოედანზე ბანაკებად დაეწყობიან ხოლმე, საქმეთა მომქმედნი კაცნი, იბრძვიან და გამათობენ, ვიდრე უღონიერესი თავისას გაიტანს, ან სხვა უფრო მწვავი საგანი გაჩნდება საბრძოლველად.

დღეს თითქმის მთელს ევროპაში და განსაკუთრებით საფრანგეთში სწორედ ეკონომიურ წეს-წყობილების ცვლილებათა საჭიროების ხანაა. აი იგი მშვილდი, რომლის ისარის ტყორცნას ვერ უძლებს ხოლმე ვერც ერთი სამინისტრო საფრანგეთში და რომელსაც საქმე ზოგჯერ იქამდე მიჰყავს, რომ სამინისტროს დაცემას პრეზიდენტის დაცემაც თან მოსდევს. დღეს ტყუილად-კი არა ჰქადულობს გამარჯვებას საფრანგეთში ეგრედ წოდებული დასი სოციალისტებისა პრეზიდენტის გადადგომის გამო. იტყვით, ამ დასის წარმომადგენელნი საფრანგეთის პარლამენტში ცოტანი არიანო და როგორ დავიჯეროთ, რომ ძლევა-მოსილობა ამათ დარჩენოდესო.

საქმე იმაშია, რომ დღეს საჭიროება ეკონომიურ ცვლილებისა საკმაოდ გავრცელებულია საფრანგეთში. რადიკალებს ნუღარ ვიტყვით, თვით ოპპორტუნისტების, მონარქისტების და კლერიკალების შორისაც-კი დღეს იპოვით იმის-

---

## ფელეტონი

**ნასწავლია!?**

**მოთხრობა**

(მასწავლებელთა ცხოვრებიდგან)

(დასასრული*)

ერთს დღეს ნამტირალევი ქეთო აივანზედ გამოსულიყო და ქმრის გზას შესცქეროდა. ამ დროს მომავალი ანდრიაც გამოჩნდა. მოდიოდა თავპალუნული, განდრუნჩული და ვერ მჩევდა, თუ როგორ გატაცებით უყურებს მისი დაჩაგრული ცოლი.

ანდრია გაფხორილი ამოვიდა კიბეზედ. ცოლმა ნაწყენობა შეატყო და ალერსიანად ჰკითხა.

— რათა ხარ გაჯავრებული?

— ეშმაკმა რომ წაგიღოს! უკმეხად უპასუხა ანდრიამ და დაუბღვირა.

— ცეცხლი ვსთქვი და პირი არ დამწვაო, პეჩა, რას მემართლები, ცუდი ხომ არა მითქვამს-რა. ცრემლმორეულის ხმით, დაბლად, შენიშნა ქეთომ და გაბრუნება დააპირა.

— სადილი მზათა გაქვს? კიდევ დაუშტიალა ანდრიამ.

— ეხლავე იქნება ჩემო ბატონო.

— აი ჯანაბა და დოზანა შენს თავს. განა არ იცი რომ დაღალული ვარ და მოსვენება მეპირვება. ახლა შენს სადილს უნდა ვუცადო? არა რას აკეთებდი აქამდის, აპელაციების არზებს თუ სწერავდი!

ისეთის უკმეხის, ისეთის ამრეზილის კილოთი უთხრა ეს სიტყვები, რომ საბრალო ქეთოს სულ გული ჩაეთუთქა. შუბლს ქვეშიდგან შეხედა ქმარსა და ერთი ისეთი ამოიოხრა, რომ გულ-ღვიძლი თან ამოატანა. შევიდა სახლში და მღუღარება დაანთხია. თან სუფრასა შლიდა და თან მწარედ, თავისთვის, მოსთქვამდა თავისს უბედურებას. „ნეტა რა მოუვიდა, რაზედ აიცრუა ჩემზედ გული, რად მიჰკნობს სიყმაწვილესაო. ჰფიქრობდა ქეთო და სუფრაზედ ხელებს აფათურებდა. მთელი ნახევარ საათი დასტრიალებდა სუფრას და ჯერ თეფშებიც არ დაელაგებინა. ამრეზილი ანდრია-კი აივანზედ ბოლთასა სცემდა და ბუზღუნებდა.

— რა ჰქენი, ვერ გაშალე ეგ ოხერი სუფრა? შეჰღრიალა მოთმინებიდგან გამოსულმა ანდრიამ.

ქეთო მხოლოდ ეხლა გამოირკვა ფიქრებისაგან და შეშინებულმა ძლივს ამოიკნავლა.

— მობრძანდი მზად გახლავს. ანდრია მშიერ მგელსავით სუფრისკენ გაექანა.

ორთავე, ცოლიცა და ქმარიც, ჩუმად ისხდნენ. მარტო ანდრიას პირის წკლატუნი არღვევდა სიჩუმეს. რაღაც უცნაური მდგომარეობა იყო ამათი მდგომარეობა. ქეთო კარგადა გრძნობდა რომ ეს დღე უცემრად არ ჩაივლიდა. დიახ, უცემრად. ეს ორი წელიწადი იქმნება, რაც ანდრიამ ხელი შეაჩვია ქეთოს და როდესაც-კი მოისურვეადა გვერდებს გამოუთხელებდა ხხოლმე. ცოტაოდენი რამ საკმარისი იყო რომ ანდრიას გული მოსვლოდა და მაშინ... ქეთოს ტანიც დალურჯდებოდა. მაგრამ ზნეობრივ-ფიზიკურად დატანჯული ქეთო დიდის მოთმინებით იტანდა ყველა ამას. და არამც თუ ეთქვას ვისთვისმე, არც-კი არავისთვის უგრძნობინებია, რომ იგი უბედურია. პირ იქით ბედნიერი ეგონათ, რადგანაც გარედ, უცხოსთან, ქმარი რიგიანად ექცეოდა. ჩაცმულ-დახურული გამოჰყავდა და ბრბოს მეტიც არ უნდოდა, რადგანაც ტანისამოსითა და სმა-ჭამით ზომავენ ადამიანის ბედნიერებას. საცა-კი წვეულება ან ღლეობა გაჩნდებოდა, ანდრია უთუოდ იქ იყო ხოლმე და თან ცოლსაც იახლებდა. ანდრიას თავიც-კი მოჰქონდა, რომ ლამაზი ცოლი ჰყავდა და ხშირად იკვეხოდა: „თუმცა მზითევი არ ამიღია, მაგრამ ბადრი მთვარესავით ცოლი-კი ვიშოვეო". ქეთო ხომ სულზედ დაჰკანკალებდა ქმარს. და იმის მზეს ფიცულობდა. ანდრიაც ნაძალადევად ეალერსებოდა, უნაზდებოდა. დიახ, ამ შემთხვევაშიაც ჩვეულებრივს სიყალბეს იჩენდა, მაგრამ ხალხს ბედნიერნი ეგონა. აბა ახლა სახლში მობრძანებულიყვნენ!?

ცრუ-განათლებამ, ბრბოს პატივისცემამ ისე გააამაყა ანდრია, რომ თავისს თავი უნიჭიერესი, უცოდველი ეგონა და თავს შეურაცხყოფილად სთვლიდა ქეთოს ცოლობით. „როგორ, განა მე უსწავლელი ცოლი უნდა მყავდესო, ჩაინერგა ერთხელვე გულში და ამ ფიქრმა ისე გააზვიადა მისი გადაბირებული ჭკუა-გონება, რომ ქეთევანში არავითარს ღირსებას არა ჰპოვებდა. იგი მარტო მოსამსახურედ, ჟინის დასაკმაყოფილებელ არსებად მიაჩნდა. ღვთის წინაშე ანდრიას არც ისა ჰქონდა შეგნებული, თუ არ ვიცი არ უნდოდა შეესმინა, რომ ცოლს ისეთივე უფლება უნდა ჰქონდეს, როგორც ქმარს, რომ ცოლი უქმროდ ნახევარი არსებაა, და ქმარი უცოლოდ. მხოლოდ ქალი და კაცი გრძნობა-გონებით და ზნეობა-მოვალეობით შეერთებულნი შეადგენენ ერთს სრულს არსებას, რომელსაც ოჯახის დედა-ბოძი ჰქვიან და რომელზედაც დამყარებულია ხალხის ზნეობრივ-გონებრივი განვითარება, გაფაქიზება და ამაღლება. მაგრამ ანდრიასთანა კაცებს შეიძლება სულ სხვა ნაირად ესმოდეთ და აკი იმიტომაც ანდრიას სულ სხვა მიზანი, ფიქრი და მიმართულება ჰქონდა. როგორც მოგეხსენებათ, ანდრია მზითვის აღებას სცდილობდა და დღეს რომ უმზითვო ქალი შეხვდა თავს დამცირებულად სთვლის. „სოფლის დურგალ-მჭედლები იღებენ ორმოცსამოც თუმანს და მე ორას-სამასი თუმანი მაინც არ უნდა ამეღოვო?" ხშირად უსაყვედურებდა ხოლმე ცოლსა და მუჯლუგუნებს უთავაზებდა. საყვედური ხმა-მაღლა ლაპარაკად გადაიქცეოდა ხოლმე, ხმა-მაღლა ლაპარაკს ლანძღვა-გინება და უშვერი სიტყვები მოჰყვებოდა და... შემდეგ ცემაც. მაგრამ ყველა ამას ანდრია ფარულად, ოთხ-კედელს შუა სჩადიოდა და ამას კედლები ხომ არ გასთქვამდნენ და ცოლი-კი არავის არაფერს ეუბნებოდა. უთმენდა. „იქნება ღმერთი გაუწყრეს და ჰკუა მოიკრიბოსო".

— ეს როგორი წვენია, ჰა! შეჰღრიალა ანდრიამ, როდესაც ქეთომ მათლაფით წვენი მიართვა. ჩემს მეტი ყველაფერი შიგ არის!

— რა ვქნა, როგორი უნდა იყოს? რად იცი, კაცო, ეგრეთი ღრენა.

---

* იხ. «ივერია», № 8

თანა კაცებს, რომელნიც ამ ცვლილებას ჰქადაგებენ და სხვებს ეცილებიან, რომ მშრომელს და გამრჯელს ხალხს უკეთესი დღე მიანიჭონ, მის საჭიროებას და კეთილდღეობას როგორმე მიეშველნენ და არა შემთხვევას არა ჰკარგვენ, რომ თავისის მოქმედების საგნად არ აღუთქვან ერს რაიმე ეკონომიური ცვლილება მის-და საკეთილდღეოდ. უნუგეშოდ ყოფნა და ძალზე გაჭირებული ცხოვრება მშრომელის და გამრჯელის ხალხისა ამ ცვლილებას ჰღაღადებს იმოდენად ხმა-მაღლა, რომ თვით დაწინაურებულნი წარმომადგენელნი ეგრედ წოდებულ ბურჟუაზიისა—მონარქისტებია, თუ რესპუბლიკელნი, — ჰგრო ბენ — რა ჭექა-ქუხილის ღრუბელ რიბება ამ მხრით საფრანგეთის სა- ერთოდ და ბურჟუაზიაზე თრივ.

ეს უნუგეშოდ დარჩენილი მ რომელი და გამრჯელი ხალხი გულმოდგინე მომხრეა რესპუბლიკისა, მაგრამ ამასთან გულ ნატკენიცა, რომ ამ რესპუბლიკამ არ გაუმართლა იმედები. ამათის ფიქრით, პირველი და უაღრესი საგანი რესპუბლიკის მართველობისა უნდა ყოფილიყო კეთილ-დღეობა ერისა, უნდა მშრომელისათვის საშრომი გაეჩინა და ამით მუშა-კაცისათვის სახსარი მიეცა ჯეროვანი გასამრჯელო მიეღო, რომ ადამიანურად ეცხოვრა, თვითონ რესპუბლიკას უნდა გაეჩინა ფაბრიკები და ქარხნები ან სხვა რაიმე საქმე, რომ მოჭარბებულ რიცხვს მუშა-კაცისას სამუშავო ჰქონოდა, კარგად მოეწყო იქ მუშა-კაცის ბედი, რომ სხვებისათვის მაგალითი ჰყოფილიყო, უნდა სამუშავო დღე შეემოკლებინა, და გაეჩინა რაზედ ნაკლებ არ უნდა მისცემოდა ფასი მუშაობისა, მოხუცნი, დაშავებულნი, საპყარნი, ქვრივ ობოლნი შეევრდომა და მუშა-კაცის მოზარდის თაობისათვის კარი გაეხსნა სწავლისა, გონების გახსნისა და რაიმე ხელობის ცოდნისა.

ეს თითქმის დიდსა და პატარას ენაზე აკერია დღეს საფრანგეთში, მაგრამ ამას ეურჩება დიდი უმრავლესობა ბურჟუაზიისა, რომელის ხელიდამ დღეს აქამომდე მართველობა საფრანგეთისა ვერ გამოსულა, და რომელსაც მუშა-კაცის ყელის საბელისა ხელიდამ გაშვება ზარალის მომასწავებლად მიაჩნია. ბურჟუაზია, როგორც შეძლებული ნაწილი ერისა, დიდძალოვანია არჩევანებში. რესპუბლიკის დაარსების დღიდამ დღევანდლამდე არც ერთი არჩევანი პარლამენტის დეპუტატებისა ისე არ გათავებულა, რომ უფროს-ერთობა ბურჟუაზიას არ დარჩენოდა პარლამენტსა და სენატში.

რადგანაც პარლამენტის უფროს-ერთობის დაგვარად შედგება ხოლმე ჩვეულებისამებრ სამინისტრო, ადვილად მისახვედრია, რად მოხდება ხოლმე ისე, რომ მართველობას საფრანგეთისას ყოველთვის ბურჟუაზიის მომხრეობა ეტყობა და ეკონომიური ცვლილება მუშა-კაცთა სასარგებლოდ ბრკოლდება.

პარლამენტი, უფროს-ერთად ბურჟუაზიისაგან შემდგარი, ჰშველის ხოლმე თავისს მომხრე სამინისტროს, მაგრამ როცა ჰხედავს, რომ საჭიროება ერისა ხმა-მაღლა ჰღაღადებს და ამ ღაღადებას შიში მოსდევს, მაშინ იძულებულ ჰხდის სამინისტრო გადასდგეს და სხვა კაცებს დაუთმოს მართველობა ქვეყნისა. რასაკვირველია, ისევ უფრო ბურჟუაზიის მომხრენი არიან ხოლმე ამ შემთხვევაშიც, მაგრამ, რაც უნდა იყოს, ცვლა კაცებისა ცოტა ხნობით მაინც დააამებს ხოლმე ტკივილს ერისას იმ იმედით, რომ იქნება ახალ კაცთ ახალი რამ მოგვიტანონო. ამ ცდასა და ლოდინში ცოტა თუ ბევრი დრო გადის და ბოლოს, როცა ერი ჰხედავს, რომ ამათგანაც არა გამოდნა-რა, ისევ ხელ-ახლად ჰღაღადებს, ამ ღაღადს მოჰყვება ხოლმე ისევ ის ცვლა მინისტრებისა, ისევ ის იმედების გამტყუნება, ისევ ის ღაღადი, ჩივილი და ტკივილი. აი, ჩვენის ფიქრით, მიზეზი იმისი, რომ საფრანგეთში არც ერთი სამინისტრო დიდხანს ვერა სძლებს, რადგანაც ცვლა მინისტრებისა არ მოასწავებს ხოლმე ცვლას სამმართველო სისტემისას, როგორც, მაგალითებრ, ინგლისში და თითქმის წარმოადგენს ხოლმე საქმის გადადებას შემდეგისათვის.

კაზიმირ პერიე და მისი პირველი მინისტრი და უფროს—ერთი სხვა მისი მინისტრებიც შეწამებულ არიან, რომ ბურჟუაზიის მხარე უჭირავთ და ეკონომიურ ცვლილებას ეურჩებიანო. ბურჟუაზიის პარლამენტმა, მათმა მომხრემ, იგრძნო აწ ღაღადება ერისა და ძველს ჩვეულებას თავისას დაადგა: პრეზიდენტს და სამინისტროს მიზეზი მისცა გადადგომისა და, როგორც სჩანს, იმ იმედით, რომ თუმცა ეხლა ამათ მაგიერ სხვანი დადგებიანო, მაგრამ ის სხვანიც ჩვენები იქნებიანო, ხალხს ეს მართველობის გამოცვლა დააწყნარებს რამდენსამე ხანსა და მერე რაც იქნება, ის იყოსო.

ეგრე სვლა სახელმწიფო საქმეთა შეუძლებელია. თუ საფრანგეთის სამინისტრო და რესპუბლიკის პრეზიდენტი გულ-ახდილად და მედგრად არ დაადგა ეკონომიურ ცვლილებათა გზას და ამ მხრით გამწვავებული ტკივილი საფრანგეთისა არ განჰკურნა, იგი დიდხანს თავს არ დაიჭერს და მისი ბედი და ხანგრძლიობა ყოველთვის ბეწვზე ეკიდება. ესეც-კი საფიქრებელია, რომ ვაი თუ ძაფი მოთმინებისა გაუწყდეს თვითონ ერსა და ერთი ასეთი აღიაქოთი ასტეხოს, რომ თავ-ბედისა ვეღარა გაიგონ-რა.

# ახალი ამბავი

*** ექიმმა ს. ბ. ხალითოვმა წარუდგინა ქალაქის თვითმართველობას ექიმის რუს მიერ საჩუქრად ტფილისის ქალაქისათვის გამოგზავნილი 200 გრამმი ყელჭირვების წინააღმდეგ სახმარი შრატი.

ქალაქის გამგეობამ თავისის მხრივ ეს შრატი სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორს წარუდგინა, რომელსაც შეიძლება მიჰმართონ საჭიროების დროს. ამ რიგად ჩვენს ქალაქსაც ეღირსა ექიმის რუს მიერ გამოგონილი სამკურნალო საშუალების მიღება და სასურველია, რომ კ თილად იყოს იგი მოხმარებული.

*** გ. ი. მელვინოვს სომხების კათალიკოსისათვის 1,000 მან. გარდაუცია თავისის ძმის განსვენებულის ბელგიის უფროს ელჩის ვ. ი. მელვინოვის სახსოვრად.

*** ამ დღეებში გარდაცვლილ ბაქოელის ვაჭრის მელიქოვის ქვრივს, შალოფათა მელიქოვისას, როგორც გაზ. „არძაგანქი" ამბობს, სომხების ეჩმიაძინის სასულიერო აკადემიისათვის 12 ათასი მანათი შეუწირავს იმ პირობით, რომ ამ შეწირულის ფულის სარგებლით ეჩმიაძინის ღარიბნი სტუდენტები იზრდებოდნენ და 200 მან. კიდევ სომეხთა კათალიკო გარდაეცეს.

*** იგივე გაზეთი ამბობს, რო სოფიო ბაბაიანს თავისის გარდაცვა ლებულის დედის მოსახსენებლად 20 მან. გარდაუცია სომეხთა კათალ კოსისათვის.

*** ჯალალ-ოღლი: აქ თუმცა მშვენიერი ზაფხულის დღეები დგას, მაგრამ მაინც ავადმყოფობა მძვინვარებს, როგორც თვით ჯალალ-ოღლ ში, ისე გარს შემორტყმულ სოფ ბში. უფრო-კი მეტად ყელ-ჭირ და წითელა აზიანებს ბავშვებს. სურველია, რომ ექიმი იყოს გამ ზავნილი სენის მოსასპობად.

*** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ხერხეულიძის ქუჩა ვერაზედ მეტად ცუდს მდგომარეობაშია. აუარებელი უსუფთაობაა თურმე დაგროვილი და საშინლად სწამლავს ჰაერს. ოთხი თვეა, რაც პოლიციის ჰპანებისა არა ისმის-რა. არ იქნება ური გო, რომ ვისიც ჯერ არს, ამ გარე მოებას ყურადღება მიაქციოს და ი ქუჩა წესიერებაში მოიყვანონ.

*** დ. ძველი სენაკი. სწორედ სა მე გაგვიჭირა ამ ზამთარში სხვა-და სხვა ავად-მყოფობამ. ჩვენს დაბაში მის ახლო მახლო სოფლებში თ იჩინა კისერამ. ამა ახლა ედ და თო ყვავილი, აქაურების სიტყ „ბატონები" კისერა ისეა მოდე ლი, რომ იშვიათია ოჯახი, სადაც სენი არ იყოს. თუმცა-ღა ჯერ ს მისო ზარალს არ იძლევა, მაგრ ავად ბევრია, უფრო-კი ბავშვები. ყვ ვილსაც კარგად იხდიან ვისაც-კი და ემართება.

აქეთ ზამთარი-კი არა, გაზაფხული დღეს მოაგონებს კაცს, ისეთი კარგი

---

სულ ეგრე უნდა შტიალებდე. ერთხელ მაინც მაჭამე გემრიელი პური. აღელვებულის ხმით მიახალა ქეთომ, ჩამჩა სუფრაზედ გადისროლა ღ გაჯავრებულმა სკამი განზედ გაიდგა.

ცოლის ასეთმა საქციელმა ანდრია მოთმინებიდგან გამოიყვანა. წამოწითლებული ზეზე წამოფრინდა, მივარდა ცოლსა და ღრიალი დაუწყო.

— რაო, იღრინებიო, განა მე შენი ძაღლი ვარ. არა როგორ მიბედავ მაგასა შე წუწკის შვილო! ღრიალებდა ანდრია და თან მუჰასა ჰკუმავდა. ცოტა კიდევ და მივარდებოდა საბრალო ქეთოს.

ქეთო ქვასავით დაჰკროდა თავისს სკამს და თავის მაღლა აღება ვერ მოებერხებინა გული თოფ-ნასროლ მტრედივით უფართხალებდა. თვალებს-კი ხან აშტერებდა ხან ახამხამებდა ისე, როგორც ათამაშებს ხოლმე თვალებს ის კაცი, რომელსაც თავში უნდა ჩაარტყან.

— არა, მითხარი მე ძაღლი ვარ, ჰა! შე ასეთ ისეთო გაიმეორა ანდრიამ და მოჰყვა უწმაწურად ლანძღვა-გინებას. დედა, მამა, ვინც-კი ვინა ჰყავდა საფლავიდგან ამოუყარა.

— ვინა სთქვა რომ ძაღლი ხარო, შეშინებულის ხმით წამოილუღლუღა ქეთომ. კარგი, გენაცვა ნუ ჯავრობ, ნუ მაგინებ ახლად დამარხულს მამას, ჯერ ხომ საფლავიც არ გაშრობია. სირცხვილია, კაცო, სირცხვილი, განა ეგრე უნდა მოიქცე. თან-კი მაყვედრი ნასწავლი ვარო, განა მაგას გასწავლიდნენ იმ ოხერ სკოლაში? ანდრიამ ახლა-კი ვეღარ მოითმინა, გააფთრებული მივარდა ცოლსა და მუშტები წაუშინა. ცოლი ეხვეწებოდა, ემუდარებოდა, პატივებას სთხოვდა და ფეხებ ქვეშ უვარდებოდა. მაგრამ გამხეცებულს ანდრიას არა ესმოდარა, გაჩქარებით ურტყამდა მუშტს და თან ისეთის უწმაწურის სიტყვებით ილანძღებოდა, რომ მკვდარიც-კი სამარეში შეინძრეოდა. ამ ჭიდილსა და ბღლარძუნში, სუფრაზედ რაც რამ იყო ანდრიამ სულ ძირს გადმოყარა. ამან ხომ სულ-მთლად გააგიჟა ანდრია. იმდენი სცემა ქეთოს სანამ გული არ მოიჯერა და მერე მეორე ოთახში გავარდა. ასე გათავდა ცოლ-ქმართა სადილი.

საბრალო ქეთომ წელი ძლივს აითრია. როგორც იყო ტახტამდის მოვიდა და მოჭრილი ხესავით ზედ მიეგდო. სტიროდა საბრალო ქალი და ცრემლით მოსთქვამდა თავისს უბედურებას და მერე ასეთის სიტყვებით მოსთქვამდა, რომ ქვებიც-კი ადუღდებოდნენ იმის ცოდვით. ანდრია-კი იქამდის გამხეცებულიყო, რომ სიბრალულის ნაცვლად, კიდეც ემუქრებოდა ქეთოს და უბრძანებდა, ხმა ჩაიმიდა. ცოლი-კი ტირილით ეუბნებოდა: «ამაზე მეტი მოთმენა აღარ შემიძლია, უნდა ვამცნო ქვეყანას, რა უბედურებაც მადგას. რკინის ქალამნებს ჩავიცვამ, რკინის ჯოხს ხელში დავიჭერ, შემოუვლი მთელს ქვეყანას, და ყველას გავაგებინებ შენს უბედურს ხასიათსაო არა,რატომ არა გცხვენია, შე უბედურო, ჩამიგდე ხელში სუსტი არსება და მბატონობ რაღა. თან-კი მაყვედრი ნასწავლი ვარო. აი, მენატროს შენისთანა ნასწავლი!

— ნასწავლია!? დამიხედეთ ამისთანა ნასწავლს! დრო გამოშვებით წამოიძახებდა ხოხოლმე ქეთო ღ კვლავიმუქრებოდა. მაგრამ ეს სიტყვები სიტყვებადვე დარჩნენ. გულ მოკლულმა ქეთომ ვეღარ გაბედა სხვისთვის ეთქვა რამე. ოჯახის სახელის წახდენას თავისი ცემა ტყეპა არჩია. მის საყვარელ ქმრის თავის მოჭრას, თავისი დამცირება ანაცვალა. მით უმეტეს, რომ ანდრიამ იმ საღამოთივე, როდესაც გული დაიშვიდა და თავისს საქციელი მიილოკ-მოილოკა, ბადიშის მსგავსი რაღაც უთხრა ქეთოს, — ხომ იცი ჩემი ხასიათი, როცა მე გაჯავრებული ვარ, შენ ხმა გაკმენდილი უნდა იყო, სიტყვა არ უნდა შემომიბრუნო და აბა ნახე თუ მე შენზედ ხელი გამოვიღოვო. ნეტა რამ გამოიწვია ამ სიტყვების თქმა: იმან რომ კვლავ დარიგება მიეცა ცოლისათვის თუ იმას რო კაცობრიული გრძნობა ჯერ სულ მთლად არ დახშოდა და ადამიანს ადამიანი შეეცოდა. მგონი უფრო პირველმა გამოიწვია., რადგანაც ხშირად ჰპირდებოდა ცოლს აღარ გცემო, მაგრამ ანდრია თავისას არ იშლიდა.

აი ეხლაც, რამდენისამე ხნის შემდეგ ანდრიამ კვლავ აუტეხა ჩხუბი თავისს ცოლს და ეხლა კი აღარ დაფარულა და ყველაფერი გამოაშკარავდა.

ღვთიშობლობა დღეს, მასწავლებელს დავით ღვინაძეს დიდი წვეულება ჰქონდა. ძველებური, ღვინაძის მამა-პაპური დარბაზი ხალხით გატენილიყო,რომელიც ორპირად შემოსხდომოდა სუფრას და სადილს შეექცეოდა. ამ დღეს დავითს ყველა წოდების კაცი ჰყავდა დაპატიჟებული უმრავლესობა კი, რასაკვირველია, ნასწავლები და კეთილშობილნი აყვნენ. ამას ჯერ-ერთი რომ დავითის წოდებაც მოითხოვდა, ღ მეორეც,დავითი დიდიხანია ჰპირდებოდა თავისს ამხანაგებს ღვთიშობლობა დღეს დაგპატიჟებთო და მართლაც ყველა ამხანაგ-მასწავლებელნი, ცოლიანი თუ უცოლო, შეეკრიბა. მათ რიცხვში ანდრიაც თავისს ცოლით ერია.

თუმცა სუფრა ევროპიულად იყო გაწყობილი, სტუმრებს გადაწყვეტილი ჰქონდათ მამა-პაპური, ნამდვილი ქართველური, სმა ჭამა და ნადიმი გაემართათ. ამიტომ სუფრის თავში უფრო „პატივცემული" ტოლუბაშობაში გათქმული ადამიანი დაესვათ. ამას ჩამოდსომა კი წოდებისა და ღირსების თუ თავაზიანობისა და ზრდილობის დაკვალად ჩამორიგებულ ყვნენ. მოსადილენი მეტისმეტად ოხუნჯობდნენ, და თან სცდილობდნენ მუცელი მალე ამოეყორათ. ჯერ სმა არ გაჩაღებულიყო და ყველა თავ-დაჭერილად იქცეოდა თუმცა-კი ზოგი ხმა-მაღლა ლაპარაკობდა, ზოგი ოხუჯობდა, ზოგი იცინოდა. აქა-იქ, ნასწავლებს შორის, საკამათო საგნებზედაც ჩამოვარდნილიყო სჯა-ბაასი. ქართველს კს ხომ სუფრაზედ გაახსენდება ყველაფერი, ეს სამშობლო, ეს სწავლა-განათლება, ეს ყმაწვილ-კაცობა, ეს ბანკობანა, ეს ზნეობა გონებით დაქვეითება და სხვა ამ გვარები, სიტყვით მთელი საქართველო თავისს ავლა-დიდებით. აგერ რამდენიმე მასწავლებელ და მით რიცხვში ანდრიაც, შეკამათებულან, რაღაც თავს სატეხი საგ ნი აურჩევიათ და ვინ იცის როგ გამწვავდებოდა მათი ლაპარაკი ო რომ თამადას ოხუჯობა არ და და საერთო სიცილი არ გამოეწ

— დავით სფრიდონიჩ! მამა გიც ხონდა ერთი ე პილატეს ცრემლ გადმომაწოდე. შენ მაინც არა სვამ შვილოსან, და მე რაღათ მაკლებ.

— ბიჭოს, ე პილატეს ცრემლი რა ლაა! გაიკვირვა დავითმა და გადიხარხარა.

— რა არის და, ოტკაა, ჩაერ ლაპარაკში დავითის მოყვარე, შ გაზდილი, ძველებური აზნაურიშვილ

— დასწყევლოს ღმერთმა შენი ე მაკი, რა ოხუნჯი რამა ხარ. ეგ რ ლამ მოგაგონა შე ოჯახქორო, მა თლია რომ პილატეს ცრემლია! კვირვებით წამოიძახა მასწავლებელ დავითმა და მოჰყვა კუჭკუჭს. მას ბ ნი მისცა მეორემ და ყველამ სიცი ლი დაიწყოს. სიტყვა გაიბურთავე

დარები სდგას. აგერ საცაა ერთი თვე სრულდება, რაც ციდგან ნამი არ ჩამოვარდნილა. მხოლოდ იანვრის 8 ღამით ცოტაოდენი წვიმა მოვიდა, მაგრამ მეორე დღეს ისევ გამოიდარა.

*** ს. ჩხარი (შორაპნის მაზრა). 8 იანვარს, ნაშუადღევის 5 ორ საათზედ, აქ ერთი მკვლელობა მოხდა. ამავე სოფელში მცხოვრებნი გლეხნი დიაკონიძე და პანჩულიძე დუქანში ერთად ღვინის სმას შეექცეოდნენ, ბოლოს პანჩულიძეს ღვინის სმის უარი განუცხადებია და წასვლა დაუპირებია, ამ დროს სცემია დიაკონიძე და უთქვამს, თუ გარეთ გახვალ, ცოცხალი ვერ გადამირჩებიო. პანჩულიძეს სიცილი დაუწყია და ხუმრობით ხელიც წაუკრავს დიაკვანიძესათვის, რომელსაც ეს საქციელი შეურაცხებად მიუღია, ჩამოუღია კედელზედ დაკიდებული თოფი და შიგ პირში უკრავს. ტყვიას თავის ქალა მთლად აეგდო და მარჯვენა ხელი მაჯაში მოეწყვიტა. უბედურს სროლის დროს ხელი აეფარებინა და დაეყვირა, ნუ მომკლაო. დამნაშავე მაშინვე შეიპყრეს და საპატიმროში გაგზავნეს. გამოძიება სწარმოებს. ეს პირველი მაგალითი არ არის ჩვენ სოფელში ამისთანა უბედურებისა, მაგრამ ყურადღებას-კი არავინ აქცევს აქაურ ვაჟბატონებს, რომლებიც თავისს დღესა და წუთისოფელს დუქნებში ატარებენ ლოთობითა და ბანქოს თამაშობით.

*** ქ. ქუთაისი. ახალმა წელიწადმა ერთი კარგი საქმე მოგვიტანა. აქაურმა ხელოსნებმა უფასო სამკითხველო დააარსეს სახელოსნო გამგეობის დარბაზში. მართალია, სამკითხველო ამ ჟამად ღარიბია, მაგრამ იმედია შემდეგში გაუკეთესდება მისი ყოფა, რადგანაც თანამგრძნობნი ჰყავანან ამ სასარგებლო დაწესებულებას.

—

**შეცდომის გასწორება:** გუშინდელს მეთაურ წერილში შეცდომით არის დაბეჭდილი:

„იმათ უნდათ საქმეს ვითარება შეუფერონ და არა ვითარება საქმეს“, უნდა იყოს; „იმათ უნდათ საქმეს ვითარება შეუფერონ და არა ვითარებას საქმე“.

## ნაწყვეტი

—

სჯავცხავის კაყკაცო,
უმართლოდ მდომი ბრძოლისა,
უდროოდ მლხენი-განმცხრომი,
უდროოდ მდომი წოლისა,
გამუქმებელი ღვთის მიერ
მადლ-ცხებულ მაღა-ღონისა,
არა-მქებნელი გზა ბნელში
მავალისათვის ფონისა!...

დ. ნინოწმინდელი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

რუსეთის საფინანსო პოლიტიკამ სულ სხვა, ახალი მიმართულება მიიღო, და ამასთანავე ისეთი, რომ არ შეგვიძლიან ყურადღება არ მივაქციოთო, ამბობენ რუსეთის ჟურნალ-გაზეთები. რუსეთის ფინანსთა სამინისტრო იმ თავითვე უმთავრესს ყურადღებას სააქციზო გარდასახადს აქცევდა და მართლადაც სასმელების გარდასახადი, სახელმწიფოს უმთავრესს შემოსავალს შეადგენს და უპირველესი ადგილიც უჭირავს სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვაში. საფინანსო უწყება არავითარს ყურადღებას არ აქცევდა ხალხის კეთილდღეობას და ამ მხრივ ზრუნვა მარტო შინაგან საქმეთა სამინისტროს მიანდეს. ვის არ ახსოვს რა ბრძოლა ჰქონდათ ამ ორის სამინისტროს წარმომადგენლებს—გუბერნატორებსა და სააქციზო სამმართველოებს, ვის არ ახსოვს ის უსიამოვნებანი, რომელიც მიუყენებიათ ადმინისტრაციისა და ადგილობრივ თვით-მმართველობისათვის იმის გამო, რომ სცდილობდნენ ხალხის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის „დუქნის“ ზედ-გავლენა თავიდგან აეცილებინათ... სააქციზო გარდასახადი-კი თანდათან ჰმატულობდა და აქციზის მოხელეთაც ჯამაგირები ემატებოდათ. ამ გვარი წესდება ხარჯთ-აღრიცხვის ზომიერებისათვის იმდენად სამართლიანად ითვლებოდა, რომ აქციზის მოხელეს არ შეეძლო „სიფხიზლის“ საზოგადოების წევრად ჩაწერილიყო, თორემ სააქციზო უწყების მოღალატეს უწოდებდნენ. მართალია, ეს ზომები თანდათან მცირდებოდა, თანდათან შეღავათიანი ხდებოდა, მაგრამ დღეს-კი სულ სხვასა ვხედავთ. დღეს ფინანსთა მინისტრმა სულ სხვა გვარად შესცვალა სააქციზო მმართველობის აზრი, სულ სხვა გვარი მიმართულება მისცა და სულ სხვა საფუძველზედ დაამყარა.

თავისს ცირკულიარში, რომელიც 22 დეკემბერს გამოსცა 2,438 ნომრით, იგი ამბობს, რომ

„ერის ზნეობისა და ჯანმრთელობის აღსადგენად და თანამედროვე სასმელების დუქნების გამხრწნელის ზედ-მოქმედების თავიდგან ასაცილებლად, საცდელად დაარსდეს ოთხს გუბერნიაში სახელმწიფო გასყიდვა სასმელებისა და მით ხალხს თავიდგან ასცილდეს ის ქონებრივი ზარალი, რომელიც ძირს უთხრის ერის კეთილდღეობასაო.

გარდა ამისა, მინისტრი აცხადებს, რომ თუ მაგარის სასმელების ხმარებამ იკლოო,

მაშინ ის გარდასახადი, რომელიც ამ სასმელებიდგან შემოსდიოდა ხაზინას, იქიდგან შეივსება, რომ ხალხი უფრო პირ-ნათლად გადიხდის სხვა და სხვა გარდასახადს, რომელიც ეხლა ვალად ედება, რადგან მაშინ საზოგადოდ ერი უფრო დადს კეთილდღეობაში იქნება და ზნეობითაც ამაღლდება. ამ გვარად, თუ რეფორმამ, რომლითაც სასმელების გარდასახადი მცირდება, ერთსა და იმავე დროს კეთილდღეობაც მოუტანა ხალხსა, მაშინ ამ გვარი შედეგი რეფორმისა უნდა ჩაითვალოს სასურველად და აქციზის უწყების მოხელეთაც ღვაწლად ჩაეთვლებათ მათის სამსახურის დაფასების დროსაო.

ამის შესახებ აი რასა სწერს „იურიდ. გაზეტა.“

ძნელია, რასაკვირველია, ეხლავე ითქვას რამდენად განხორციელდება ახალი რეფორმა, რომელიც საცდელად ჯერ ოთხს გუბერნიაში არის შემოღებული, მაგრამ ის კი თამამად შეგვიძლიან, ვსთქვათ; რომ ამ გვარის ცვლილების შემოღება დიდი და საყურადღებო მოვლენაა და თითონ მის შემომღებიც დიდს სამსახურს უწევს თავისს ქვეყანასაო.

## თეატრის მატიანე

### ვ. მესხიშვილის ბენეფისი

„ვისი ბრალია“? დრ. 3 მოქ.
„რომ იცოდე ჩემი გულის დარდები“, კომ. 2 მოქმედ.

დრამა „ვისი ბრალია“ იმ დრამატიულ ნაწარმოებთაგანია, რომელიც კაცს ათასნაირს აზრს უბადავს ხოლმე და ღრმად აფიქრებს. დრამაში აღძრულია საჭირ-ბოროტო საგანი მართლმსაჯულების შეცდომის შესახებ და ნათლად და მოხერხებით არის დახატული ის გარემოება, თუ სასამართლოს განაჩენს, შეცდომით დადგენილს, რა ზომამდის შეუძლიან გააუბედუროს უდანაშაულო კაცი და მისი ოჯახობა სულით ხორცამდე დაღუპოს.

ამასთანავე ყოველი მომქმედი პირი ისე ცოცხლად ჰყავს ავტორს დახატული, რომ მაყურებელს ჰგონია,—ნამდვილს ცხოვრებასა ვხედავ და არა სცენაზედ ხელოვნებით გათვალისწინებულსაო. ერთი სცენა მეორეს ზედიზედ მწყობრად მოსდევს და შეუწყვეტელი კავშირი აქვთ ერთმანეთში. ასხმულია პიესა ხელოვნურად, არსად ხვანჯი არ შეგხვდებათ, არც ერთი მომქმედი პირი მეტი არ არის. ბევრი სცენაა ამ დრამაში სრულის დრამატიზმით სავსე, ამასთანავე მოქმედნი პირნი უფრო ჰმოქმედობენ, ვიდრე ლაპარაკობენ და ერთი უმთავრესი ღირსება ამ პიესისა სწორედ ეს არის. თვით უმთავრეს მომქმედს —დრამის სულის ჩამდგმელს—ტომას ლეერს სულ ცოტა აქვს სალაპარაკო, მაგრამ სამაგიეროდ იგი ისეთს გარემოებებით არის მოწყობილი, რომ მაყურებელი უსიტყვოდაც ჰგრძნობს იმისს ტანჯვა-ვაებას და თითქმის წინადვე იცის, რა უნდა სთქვას, ამ უდანაშაულოდ დასჯილმა კაცმა.

როგორც მოსალოდნელიც იყო, მობენეფისე ღირსეულად გაუძლვა თავისს როლს და, თუმცა ხმა ნებას არ აძლევდა, მაგრამ მაინც სრულის სავსებით დაგვანახვა ტომას ლეერის ტანჯული არსება. განსაკუთრებით კარგი იყო ბ-ნი მესხიშვილი პირველ მოქმედების შუა ადგილას, როდესაც იგი წარსულის მოგონებით აღელვებული ოთახში შეჰყავთ: „წაიშალოს, წაიშალოსო„, ამბობს უბედური თავისს საპატიმრო სენაკის ნომრის შესახებ და ამ სიტყვებში იხატება ვაება ცოცხლად დამარხულის ადამიანისა, რომელსაც სახელი აქვს წართმეული და უსულო ნოქრად არის ქცეული.

შემდეგ უნდა მოვიხსენიოთ ბ-ნი კანდელაკი (კრამერი). ამ არტისტმა თვალ-ნათლად დაგვანახვა კრამერის შელახული ბუნება, ხელოვნურად იცვლიდა ლაპარაკის კილოს, როდესაც იგი მარტასთან (ავალიშვილისა) მკვახედ და უხეშად მოლაპარაკე, უეცრად ბერგესთან დაიწყებდა თავაზიანს საუბარს. მხოლოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ბ-ნი კანდელაკი მეტად აბრტყელებს სიტყვებს და ტკეპნით ლაპარაკობს. ეს ცოტა არ იყოს უშლის ხოლმე იმისს მოფიქრებულს თამაშობას. როგორც ჩქა-

---

იმოლუქსავეს და სადილი გახურდა. თამამად ჯერ ორ-ორი ჰიქა დაატრიალა, მერე სამ-სამი, ამას ზედ მოაყოლა ფიალა, შემდეგ ჯიხვები და ისეთი სმა გაიმართა, რომ თქვენი მოწონებული. ასტყდა ხმაურობა, ჰიჰყი, ჰირვეულობა. ვინ ვის ელაპარაკება, ვინ ვის ღვინოს აძალებს, ვინა სვამს, ვინ ღვინოს ღვრის, აღარავის არაფერი გაეგებათ. ამ სმაში და ქეიფში ჩვენი ანდრიაც ლაზათიანად შეზარხოშდა. წითელმა ღვინომ ტვინი შეუხურა და მეტის-მეტად თამამად იქცეოდა.

ქალების გუნდში, ანდრიას ცოლიც-კი განზედ გამჯდარიყო და თავისს ქმარს თვალ-წარბში შესცქეროდა, რადგანაც იცოდა, რომ სიმთვრალეშიაც გლახა ხასიათი ჰქონდა და შიშობდა ცუდი არა ჩაიდინოს-რაო. მაგრამ ცუდი-კი არა, ამ სადილზედ ანდრიამ თავი გამოიჩინა და ერთხელ კიდევ მოალანდა საზოგადოებას, რომ იგი განვითარებული, განათლებული კაცია. ანდრიას „რეჩმა“ ქვეყანა გააკვირვა. მართლა ის-კი დამავიწყდა მეთქვა, რომ ტოლუმბაშმა „რეჩობანა“ შემოიღო. და პირველადაც თითონ წარმოსთქვა სიტყვა, რომლითაც ქება-დიდება შეასხა დიასახლისს, მადლობით მოიხსენია გულ-უხვი მასპინძელი და თავისს სიტყვა იმითი დაასრულა, რომ „ღმერთსა ვსთხოვ მრავალი ლხინი და ქეიფი გაგვეტარებინოს ამ სახლშიო“. ამ სიტყვას ხანგრძლივი ტაშის-ცემა მოჰყვა. ტოლუმბაშის შემდეგ ახლა სხვამა სთქვა სიტყვა და ამანაც „ჰამით“ დაათავა. ჯერი მასწავლებლებზედ—ნასწავლებზედ მიდგა. ტოლუმბაშმა „სმენა და გაგონება იყოსო“, გამოაცხადა, სკამის საზურგეზედ გადაეყუდა და გულ-ხელ-დაკრეფილი სასმენლად მოემზადა. მასწავლებლებმაც დაიწყეს წარმოთქმა და როგორც ნასწავლებმა უფრო ფართოდ გაშალეს სიტყვიერების ბოხჩა და პტყელ-პტყელი სიტყვები ამოალაგეს. ერთი რომ გაათავებდა, მეორე აიღებდა ხოლმე ჰიქას ხელში და ან ნალაპარაკევის წინაამდეგ იტყოდა რამეს, ან ისევ იმას განაგრძობდა. ამასობაში თითქმის მთელი ქვეყანა გადმოაბრუნეს. ალთა-ბალთას შეურთეს, რუსებ-ფრანგ-ინგლისელები ერმანეთს შეაჯახეს და ნამდვილის მჭერმეტყველობით იბურთავეს, ასე რომ ანდრიას სათქმელი თითქმის აღარა დარჩა-რა და ამიტომაც სდუმდა. მაგრამ როდესაც ჯერი იმაზედ მიდგა და „რეჩის, რეჩის, რ—ე—ჩ—ის“ ძახილით ყურები გამოუჭედეს, მეტი ჩარა არ იყო, უნდა უთუოდ ეთქვა რამე. ანდრია დინჯად წამოდგა, ჰიქა მაღლა აღმართა და სიტყვა დაიწყო.

იგი ლაპარაკობდა წყნარად და თუმცა-კი ენას ურევდა, მაგრამ ეს ნუნუას ბრალი იყო, და აბა რა დასაძრახისია, რომ ქართულს სუფრაზედ კაცი დაითვრეს, ათი და ოცი კაცის სამყოფი ერთმა შთანთქას და დაქციოს. ბევრი ილაპარაკა ანდრიამ და ის აზრი გამოხატა, რომ „წელან მე და დავით სპირიდონიჩს ქალების შესახებ გვქონდა ლაპარაკიო და მეც ქალებზედ უნდა ვილაპარაკო, მით უმეტეს, რომ ეს სადღეგრძელო ქალისაა, ჩვენის კეკლუცის და გულ-უხვის მასპინძლისამ და სხვა. ბევრი იმჭერმეტყველა ქალების შესახებ, ბევრი საგულისხმიერო აზრები წარმოსთქვა და საგულისხმიეროდაც დაათავა თავისი სიტყვა.

„იმას მოგახსენებდით ჩემო ბატონებო: თუ ღმერთს სდომოდა, რომ ქალი ჭკუა-გონება-ზნეობით კაცზედ დაბალი ყოფილიყო, მაშინ ღმერთი ქალს წვივიდგან გამოიღებდა, ან თუ სდომოდა რომ კაცზედ მაღალი ყოფილიყიო, მაშინ თავიდგან გამოიღებდა, მაგრამ რადგანაც ღმერთმა კეთილ ინება და ქალი კაცის კვერდიდგან, შუა ადგილიდგან გამოსჭრა, ეს იმას ნიშნავს, რომ ქალი კაცზედ არც მაღალია, არც დაბალი, მაშასადამე ქალნი და კაცნი ერთნი უნდა იყვნენ, ერთი უფლება უნდა ჰქონდეთ *). მაშ, ბატონებო, გაუმარჯოს ჩვენს ქალებს და მე-კი ვსვამ იმათ სადღეგრძელოს. ამ სიტყვების გათავება და ალიაქოთის ატყდომა ერთი იყო. ქალი თუ კაცი, ყველა ღტაცებით უკრავდა ტაშს და „ვაშა, ვაშას“, ძახილით ყურები წაიღეს.

ამ საერთო აღტაცებაში მარტო ქეთო არ იღებდა მონაწილეობას. ის კარგადა ჰგრძნობდა, რომ იმისი პატიოსანი ქმარი ჯერ ერთი რომ სტყუოდა, და მეორეც ერთი უგულოდ, ფლიდობით ლაპარაკობდა. ხალხის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. ზოგიერთმა მანდილოსანმა ქეთოსაც-კი მიულოცა: „ნეტავი შენ, ქალო, მაგისთანა ქმარი გყოლია“. ქეთო თავ-მდაბლად უკრავდა თავს და თან ჰფიქრობდა: ნეტა ჩემს გულში ჩამოგახედათ და გაგაგებინათ რა უმსგავსად მექცევა ეს მქადაგებელი კაციო“. ანდრია თითონაც აღტაცებაში მოვიდა. უფრო გამხიარულდა. ამ დროს დაღონებულად მჯდომარე ცოლს თვალი მოჰკრა და თავისთან მოიხმო.

— რას დაღონებულხარ, რა ღმერთი გიწყრება, რატო შენ-კი არა მხიარულობ. ჩასჩურჩულა ანდრიამ.

— ქეთო მეტის-მეტად იყო აღელვებული, ვეღარ მოითმინა და თითონაც უჩურჩულა.

— მე დაღონებული არა ვარ, მხოლოდ იმაზედ ვფიქრობ, რატომ საქმით ამასვე არ ასრულებ, რასაც სიტყვითა ჰქადაგებ.

— ანდრია წამოწითლდა და უთხრა, მაგის პასუხის მერე მოგახსენებ ქალბატონო, ეხლა-კი, როცა სხვები მხიარულებენ, შენც უნდა გამხიარულდე. კვლავ დაარიგა ანდრიამ და ამასთანავე ისეთის თვალით შეხედა, რომ კაცს შეზარავდა. ვინ იცის იქნება ერთი სიტყვაც რომ ეთქვა ქეთოს, აქვე გალახულიყო, მაგრამ ამ დროს დაირა და მუზიკა შემოიტანეს და ლეკური გაჰმართეს.

—

გარიჟრაჟი იქნებოდა, როდესაც ცოლი და ქმარი სახლში დაბრუნდნენ. დაღალულ-დაქანცული ქეთო დაწოლას ეშურებოდა, მაგრამ ანდრია ჰირვეულობდა. და ოთახში ბალთასა სცემდა. ბევრს ეხვეწა ცოლი დაიძინე. ხვალ სამსახურში უნდა წახვიდეო, მაგრამ ანდრო კვლავ ჰინჰყლიანობდა. ეტყობოდა გულზედ რაღაცა ჰკბენდა. ერთხან კიდევ იჰირვეულა, მერე-კი შარები მოუკრიბა ცოლსა და საცემრად წაეტანა, ამოიდო ქვეშ და დაუწყო უმოწყალო ცემა. კარგა ხანს ჟეჟა, უბედური არსება, ბოლოს როგორც იყო ქეთომ თავი გაინთავისუფლა და წივილ-კივილით გარედ გამოვარდა. განთიადი იყო და ხალხი უკვე გამოფხიზლებულიყო ძილიდგან. ხმაურობაზედ მეზობლებმა აქეთ-იქიდგან ხმა მოსცეს. „რა იყო რა მოგივიდათო“ ახლა-კი ვეღარ მოითმინა ქეთომ, წახსნა პირს და რაც რამ გადახედოდა ყველაფერი გაუზიარა ცნობის მოყვარეობით შეკრებილს ხალხსა. ხალხი თვალ-გაჭყეტილი შესცქეროდა თმა-გაწეწილს, მიწაზედ მჯდომარე ქეთოს და ვერ შეენიშნა, რომ ცხვირპირიდგან სისხლი სდიოდა. ისევ მანდილოსნებმა მოუარეს.

მეორე დღეს მთელმა ქალაქმა გაიგო ანდრიას ამბავი, მაგრამ ნამდვი-

---

*) ეს სოფიზმი მგონი ნეტარ ავგუსტინს უნდა ეკუთვნოდეს.

ავტ.

რი და გამოურკვეველი ლაპარაკი ეჩოთირება კაცის სმენას, აგრეთვე —გაზეადებით და გაბრტყელებით სიტყვების წარმოთქმაც უსიამოვნოდ ჩაესმის ყურს. ახალგაზდა არტისტის ბ-ნ მარჯანოვის შესახებ უნდა ვსთქვათ, რომ შესაძლებელია ბევრს არ მოეწონა იმისი თამაშობა, რადგანაც, ღვთის წინაშე, უნაკლულო არ იყო მის მიერ კარლ ლეერის როლის აღსრულება, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ მოკლე ხანს, რაც იგი სცენაზედ გამოვიდა, კმაყოფილნი უნდა დავრჩეთ. პირველსავე შეხედვაზედ, კაცი მიხვდება, რომ ამ არტისტს ულვივის ის ნაპერწკალი ნიჭისა, რომელსაც ვერავითარი ცოდნა ვერ შეგძენთ, თუ იგი თითონ თვითვე არ მოეპოვება, მხოლოდ ამ ნაპერწკალს გაღვივება აკლია და ეს-კი დროსა და გამოცდილებას მოაქვს.

გუშინდელს მის თამაშობაში სწორედ ამ ნაკლმა იჩინა თავი. რაც შეეხება გრძნობიერობას, იგი, მგონია მეტიც მოუვიდა. კარგა გაატარა ბ-მა მარჯანოვმა ის სცენა, როდესაც იგი დედას უსაყვედურებს, კრამერთან კავშირი რათა გაქვსო და საზოგადოდაც კარგი იქნებოდა, რომ მეტის გრძნობისა და ტანჯვის გამოსაჩენათ თავი ძალიან არ ეკანტურებინა და ჰიქები არ ერახურებინა. ვურჩევთ ახალ-გაზდა მსახიობს, ნუ წაჰბაძავს ზოგიერთ არტისტებს, რომელნიც მხოლოდ ხელებისა და ფეხების ქნევითა და კოხტად სიარულით სცდილობენ გრძნობის გამოჩენას. ტანჯვა-მწუხარების აღმნიშვნელი სახეა და იმის წესიერად მოძრაობას უნდა მიექცეს არტისტის უმთავრესი ყურადღება.

ქ. საფაროვისამ მშვენივრად დაგვისურათა ახალგაზდა იულიას კოპწიაობა და ზნეობრივი არსება. იმის თამაშობას, მართალია, მხიარულება შეჰქონდა საზოგადოებაში, მაგრამ ამასთანავე კიდეც აწუხებდა, რომ ეს მშვენიერი ქმნილება დღე-დღეზედ ზნეობით უნდა დაცემულიყო.

დანარჩენი მოთამაშენი ხელს უწყობდენ პიესის წესიერად აღსრულებას. პიესა მშვენიერის ენით არის ნათარგმნი.

დრამის შემდეგ წარმოადგინეს ორ-მოქმედებიანი კომედია „რომ იცოდე ჩემის გულის დარდები“, რომელმაც უფერულად ჩაიარა, თუმცა ხალხმა ძალიან იცინა.

წარმოდგენა 2 საათამდის გაჭიანურდა და ურიგო არ იქნება შემდეგში ეს აღარ გამეორდეს.

დიდის აღტაცებით მიეგება საზოგადოება მობენეფისეს, თავზედ ფერადი ქაღალდები გადააფინეს და რამდენიმე ძვირფასი ნივთი მიართვეს, წარმოდგენის დასასრულს მოსწავლე ახალგაზდობა გამოსასვლელ კარებში დაუხვდა საყვარელს არტისტს და ფათალოს გრეხილებით სიგანგებოდ მორთულს საკარძლით ეტლამდის მიაცილა. ბენგალის ცეცხლით გაჩაღებული ეტლი დაიძრა და ხალხმა ნიჭიერი მსახიობი „ვაშას“ ძახილით გააცილა.

ინზენ *)

*) რაღა თქმა უნდა, რომ გარეშე რეცენზიების, რომელიც შემთხვევით იბეჭდება, პასუხის-მგებელნი თვით იმათივე ავტორნი არიან. რედ.

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ჩვენ მივიღეთ კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიის მიერ გამოცემული პატარა წიგნაკი მიჯნური „ქალ-ვაჟის“ ლექსი სამესხეთოში შეგროვილი და კონსტანტინე (მესხი) გვარამაძისაგან დამატებული. ეს ლექსი ხალხშია შეკრებილი და ხალხურივე ხასიათი აქვს; ლექსის შინაარსი მოკლედ ეს არის: ქალს უყვარს ერთი და მეორეზედ-კი ათხოვებენ. ქმარი ცუდის ხასიათისა. და ზნეობით დაცემული გამოდგება, რის გამოც ქალი ჰლექდება და უდროოდ ესალმება წუთის სოფელს. წიგნი პატარაა, შეიცავს 40 გვერდს და ჰღირს ერთი შაური.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 იანვარი

**პეტერბურგი.** სამხედრო უწყებასთან დაარსებული განსაკუთრებული კომისსია უკვე შეუდგა ჯარის-კაცთა შვილებისათვის დაარსებულ სასწავლებლის წესდება-პროექტის განხილვასა.

„ტორგოვო-პრომიშლენნაია გაზეტა“ იუწყება, რომ 17 იანვარს მორიგი სატარიფო კრება ექმნებათ რუსეთის რკინის გზის წარმომადგენელთ და უმთავრესად შემდეგის საგნის შესახებ გაჰმართავენ სჯა-ბაასს: საზოგადო განხილვა საქონილის გადასაზიდ-გადმოსაზიდ ფასებისა, ქვა-ნახშირის გადაზიდვა; მცირე მანძილზედ გადასატანის რძისა და ნაღების ფასების შემცირება; ფასების დაკლება იმ ცხენების გადასაყვანად, რომლებიც საექსპერიმენტო სამკურნალო ინსტიტუტში იგზავნებიან ყელ-ჭირების წამლის მოსამზადებლად.

„ნოვოე ვრემია“-ს სიტყვით, სამინისტროს განუზრახავს იშუამდგომლოს, რათა ნება მიეცეს კერძო საკომერციო სასწავლებლებს თითოს 100,000 მანეთის წლიური სუფსიდია მისცეს.

„ბირჟ. ვედ.“-ის სიტყვით, მიწათმოქმედების დეპარტამენტმა აღძრა ლაპარიკი იმის შესახებ, რომ მიწის მომქმედთ შეღავათიან ფასად მიჰყიდონ ჯიშიანი საქონელი, ადგილობრივ ჰავა-ნიადაგის შესაფერი.

**ჟიტომირი.** ნება დართულია ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა გაიყვანონ ჟიტომირიდგან ბერდიჩევამდე.

**სოფია.** ხმა დადის, რომ სტამბულოვი ექიმს ცანკოვის მომხრეებთან დაახლოვებას, რათა იმათის დახმარებით კობურგი ბოლგარიიდგან განაძეოსო.

## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**გ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი**, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი.** 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. ზ. კარაპეტიანცი**, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გ. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—7½ საათამდის.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინის ნავასარდიანი.**

(857—1468)

**ცხოვრება**
შეიდთა ყრმათა ეფესელთა
თარგმნილი მ. შარაძის მიერ
გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბის
ფასი ერთი შაური
იყიდება:
წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.
ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.
სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.
ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.
თელავში. ი. იმერლიშვილთან.

ლი მიზეზი-კი არავინ იცოდა. ბევრი ანდრიას ამტყუნებდა ბევრი-კი ცოლს. მაინც და მაინც სალაპარაკო საგანი კარგი გაუჩნდათ. ათას გვარი ჭორები გაავრცელეს. ანდრიას ხომ სამუდამოდ გაუტყდა სახელი და თუ აქამდინ კაცადა სთვლიდნენ დღეს ადამიანად არავინ აგდებდა. მაგრამ... გავიდა რამდენიმე ხანი და ანდრიას ამბავი დაძველდა. ჭორები შემცირდა. ბრბოს ახვეულს ყბას კლიტე დაედო და ანდრიაც კვლავ მიიღეს საზოგადოებაში. ცოლთანაც ვითომდა შეარიგეს კიდეც. თითონ ანდრიამაც მოიტეხინა და ცოლს შეჰფიცა, კარგად მოგექცევიო. მაგრამ ქეთოსთვის ყველაფერი დაკარგული იყო. ცემით მოუვიდა, თუ ჯავრით, ეს დანამდვილებით არ ვიცი, ქეთო ლოგინად ჩავარდა.

X

ქრისტიშობისთვის სუსხიანი ღამე იყო. ბუნებას სული შეხუთვოდა და მკაცრი ქარი ამაყურად დასისინებდა თეთრით შემოსილს ქვეყანას სიცივისგან ბუსუსები აეშვა და გაყინულგათოშვილი მომაკვდავივით გმინავდა. ყინვისაგან დახუთული ხალხი სახლებში შეყუჟულიყო და მკაცრი სტიქიონის ზედ გავლენით გარინდებულიყო. კაცთა ხმაურობაც არსაიდგან ისმოდა. დრო-გამოშვებით პატრონისაგან მოძულებული ძაღლი თუ დაიყმუვლებდა ხოლმე და ეს ხმა მომაკვდავის კვნესასავით აჟრჟოლებდა გამრონს.

ანდრიას ფართო ეზოშიაც, უკანა ფეხებზედ წამოსკუპებულიყო მოზვერის ოდენა ნაგაზი (ქოფაკი), ცხვირი მაღლა აეღო და საზარლად ყმუოდა.

— შენი თავი ამოიჭამე, შე უპატრონო, შენა, ხრინწიანის, დაბალის ხმით წარმოსთქვა ლოგინად ჩავარდნილმა ქეთომ და რადგანაც გვერდი დაბუჟოდა, მეორე გვერდზედ გადაბრუნება მოუნდა.

— ვაი, ვაი, ვაი! წამოიკვნესა ავადმყოფმა და როგორც იყო გადაბრუნდა.

— ღმერთო, რა დაგიშავე შე დალოცვილო, რათა მტანჯავ! თითქოს არაფერი ცოდვა არ მიმიძღვის ➹ რას მახდევინებ. ღმერთო, ჩემო სალოცავებო, მილხინეთ მე უბედურსა. ცრემლმორეულის თვალებით წარმოსთქვა ქეთომ და ჭერში აიხედა. საღამურის პატარა ლამპრის შუქი თეთრად გალესილს ჭერს ზედ დასციმციმებდა და რაღაც საიდუმლო ელფერს აძლევდა. ქეთოს დასუსტებული თვალები აუჭრიალდა და მომაკვდავივით მილულა.

— უნდა მოვკვდე! ოხ, ჩემო ტანჯულო დღეო, მერე რა სიამოვნება მინახავს ამ ქვეყნად? დაეკითხა თავისს თავს და თვისი ცხოვრება გაითვალისწინა. ერთი სურათი მეორეთი იცვლებოდა, ერთს აზრს მეორე მოსდევდა. წარმოუდგა თავისს თავი ახალ-გაზდად მოაგონდა სიყმაწვილე, მოაგონდა დედმამა... და მერე ანდრიაც. მისმა მოგონებამ ჟრუანტელივით დაუარა.

— ანდრო, ანდრო, ჩემო საყვარელო ანდრო, სადა ხარ, რატომ ჩემს გვერდით არა ზიხარ. ანდრია ამ დროს მეორე სარეცელზე წამოჭიმულიყო და მაგრად ეძინა. ისიც დაიღალა ავად-მყოფის ცქერით, მოჰბეზრდა მისი მოვლა, ორი სამი თვეა თვალი არ მოუხუჭნია. გრძნობდა რომ ქეთო მისი მსხვერპლი იყო და უნდოდა თავისი ბრალი გამოეყიდნა. ეხლა კი კარგად უვლიდა, მაგრამ გვიანღა იყო.

— ანდრო, ანდრო, ვკვდები მოდი ერთხელ კიდევ დამენახვე. ხანგრძლივის სიჩუმის შემდეგ კვლავ წარმოსთქვა ქეთომ.

— განა უნდა მოვკვდე, ოხ, როგორ არ მინდა ეს ოხერი სიკვდილი! ღმერთო, ღვთის-მშობელო დედაო, შენ მომხედე, ჯერ ნუ მომკლავ, ჯერ ხომ ახალგაზდა ვარ, ჯერ ისევ სიცოცხლე მწყურიან! ღმერთო, წმიდაო გიორგი ოქროს კარიანო, სამებაო ერთარსებაო, დამიხსენ მე უბედური, დაჩაგრული არსება სიკვდილისაგან. ასე ლოცულობდა ქეთო და თან მდუღარება გადმოსდიოდა.

მაგრამ... ქეთოს არსება თანდათან ქრებოდა, მუდმივმა სულის ქენჯნამ, მუდმივმა დამცირებამ, მუდმივმა ტანჯვამ მისი არსება დააძაბუნა. გამოუთქმელმა სიყვარულმა-კი მისი გულღვიძლი გამოღრღნა და სამუდამოდ ბოლო მოუღო.

თენდებოდა. ქვეყანა ღამეს ისტუმრებდა. ბუნება-კი თითქოს ღამ ეგს დღის სინათლეს უღიმისო, თანდათან სპეტაკდებოდა. ანდრიას ეზოში მდგარმა ხეებმა ტოტები შეიბერტყეს და იმ ღამის დანათოვლი მხრებიდგან მოიშორეს. ანდრიასაც გამოეღვიძა, თვალები მოიფშვნიტა და ცოლის საწოლთან მიიჭრა. ქეთოს ისევ ეღვიძა. მაგრამ სიცოცხლის ნიშან-წყალი არ ეტყობოდა. ამ სოფლიდგან პირი ებრუნებინა.

— ქეთო, როგორა ხარ ქალო, ჩასძახა შეშინებულმა ანდრიამ.

— ოჰ! ანდრო შენა ხარ? ძალიან ცუდათ. ვკვდები, ანდრო, და ვკვდები ისე რომ შენის სიყვარულით ვერ გავძეხ. ამის მიზეზი-კი შენა ხარ, მე შენ მიყვარდი და შენ-კი ყურადღებას არ მაქცევდი; მე შენთვის ვდნებოდი და შენ-კი სული შეუბერე ჩემს სიყმაწვილეს და სანთელივით ჩააქრე იგი. ღმერთმა ისე გიშველოს, როგორც მე მემართლებოდე. მე-კი შენი სახე სამარეშიაც თან ჩამყვება. მშვიდობით!

— მაპატიე, მაპატიე, შენი ღვთის გულისათვისო, დაიღრიალა ანდრიამ და ცოლის მკერდზედ დაიხარა. როდესაც გონს მოვიდა ქეთო აღარ იყო, ქეთო იმ ქვეყნად გაფრენილიყო.

ბევრი ივაგლახა ანდრიამ, ბევრი თავში ქვა იცა, მაგრამ რაღას მოუმატებდა? სიკვდილზედაც ხომ ვერ იბატონებდა! დაღონდა, დანაღვლიანდა და სევდის გასაქარვებლად სამუდამოდ მოშორდა იმ ადგილს, სადაც ისეთის სიხარულით მიეშურებოდა ახლად გამწესების დროს. მხოლოდ სულის ქენჯნამ იქაც არ დაანება თავი. მეტად დიდი მარცხი მოუვიდა ცხოვრების სარბიელზედ და ძალა-კი არ შესწევდა ამ ვარამისათვის დაეძლია. ამბობენ ტვინიც შეერყაო. არ ვიცი რამდენად მართალია ეს მითქმამოთქმა, მხოლოდ ეს-კი ვიცი, რომ რაღაც ავადმყოფობა დასჩემდა, როდესაც გაკვეთილს უხსნის ხოლმე თავისს მოწაფეებს, უცბად გაშტერდება და იღრიჯება. მოწაფეები ხშირად იკითხავენ ხოლმე, ნეტა რა ემართება ანდრეი გიორგიჩსაო!

— დიდი ნასწავლია და ეგ იმისი ბრალიაო, უპასუხებენ ერთმანეთს.

— ნასწავლია, ნასწავლი, იმეორებენ გულ-უბრყვილო ბავშვები და ამით უნდათ ანდრიას გამოთაყვანებას ბოდიში მოხადონ.

მხოლოდ ანდრიას ნაცნობებმა იციან მისი ავადმყოფობის ნამდვილი მიზეზი, მაგრამ, რადგანაც ებრალებათ, თავისისავე წინდაუხედავობით დატანჯული ადამიანი — ისინიც გულ-უბრყვილობითვე გაიძახიან: დიდის სწავლისაგან დაემართა მაგ უბედურს ეგ ავადმყოფობაო. დიახ, ანდრია გიორგიჩი დიდი ნასწავლია!

თომაანთ კობა

1894 წ. ნოემბერი.

Дозволено цензурою, Тифлисъ 12-го Января 1895 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.